



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 7 21 0001337924



09/12/2021

**ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის
დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მინისტრის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2021 წლის 19 ნოემბრის N1248134 საფუძველზე და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 2 დეკემბრის N01-05-04/181 დადგენილების შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდია 2021 წლის პირველი ოქტომბრიდან 2022 წლის პირველ იანვრამდე 3 კალენდარული თვის განმავლობაში;
2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2020–2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით (სტუ-ის რექტორის 2021 წლის 23 აპრილის N394093 ბრძანებით

განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში – 2021 წლის 12 ივლისის 31 ივლისის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 81%-ისა, შეიძლება დაენიშნოთ სახელმწიფო სტიპენდია;

4. სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევასა ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს;
6. ამ ბრძანების შესაბამისად, სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
 - სამშენებლო ფაკულტეტი – 82 სტუდენტი;
 - ენერგეტიკის ფაკულტეტი – 61 სტუდენტი;
 - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 37 სტუდენტი;
 - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 30 სტუდენტი;
 - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი – 39 სტუდენტი;
 - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 38 სტუდენტი;
 - სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 84 სტუდენტი;
 - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 108 სტუდენტი;
 - დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 4 სტუდენტი;
 - აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 70 სტუდენტი;
 - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 65 სტუდენტი;
 - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი -37 სტუდენტი.
8. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდეს და გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
10. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;
11. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;
12. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან

ვ.ა.წ.